სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს 2023 წლის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დებულებების შესრულების თაობაზე

1. 2023 წლის საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) რეგისტრირებულია სულ 11 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით სააგენტოსთვის მომართვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სააგენტოს მიერ, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა;

2. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ყველა შემთხვევაში. გადაწყვეტილება, თითოეულ შემთხვევაში, მიღებულ იქნა სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ სააგენტო არ არის კოლეგიური საჯარო დაწესებულება, სხდომის დახურვის პირობებში გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია;

3. პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაცემისას, სააგენტო ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა, შესაბამისად, ამგვარი გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევა არ არსებობს.

5. საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები, სააგენტოს არ ჰქონია.